სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია.

წელიწადი პირველი.

ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას.

პარასკევი, დეკემბრის 20, 1918 წ.

შრომა

გაზეთის ფასი ათი შაური.

გაზეთი გამოდის ყოველ-დღე გარდა უქმეების შემდეგ დღეებისა

გაზეთის ფასი:
ერთი თვით 10 მან., ცალკე ნომერი ყველგან ა თ ი შაური.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ.

სამგლოვიარო განცხადება:
12 საათამდის—15 მან., შემდეგ 20—მ.

რედაქცია ღიაა დილის 10—2 ს.
რედაქციასთან პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დიდის 10—12 ს.

ხელის მომწერლებმა ფული, შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома", Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს კანტორა ვერ მიიღებს. კანტორა ღიაა დილის 10—2 და საღამოს 5—7 სათ. რედაქციის სახელზე გამოგზავნილი წერილები უნდა იწერებოდეს ცალ გვერდზე, სუფთათ და გარკვეით. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

მისამართი: Тифлис, Редакція „Шрома", Барон. ул. № 16.

№ 104 ორგანო საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 104

ნოემრის შინაარსი.

წერილები:

ილიანი. აფხაზეთის მომავალი.

ილიანი. მოსკოვი ბერლინისაკენ.

——

საქართველოს პარლამენტი.

——

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მეორე ყრილობა (ანგარიში).

ცნობები:

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე დანიშნულია გასარჩევათ 21 დეკემბერს საგანგებო სასამართლოში.

მოჰკლეს პორტუგალიის პრეზიდენტი პასი.

გერმანიის საბჭოთა ყრილობის უმრავლესობა ებერტის მთავრობას თანაუგრძნობს და დამფუძნებელი კრების მოწვევის მომხრეა.

გერ. საბ. ყრილობამ გადასწყვიტა არ დაუშვან ყრილობაზე ლიბკნეხტი და როზა ლიუქსენბურგი.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიურ გაზეთ

„შრომა"-ზე

მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა, № 16, გაზ. „შრომა"-ს კანტორა.

საქართველოს სოც.-რევ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამით აცხადებს, რომ **კვირას, 22 დეკემბერს**, ქაშვეთის წ. გ. ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ძველი რევოლიუციონერის ამხ.

გლაძიმერ გობეჩიას

სულის მოსახსენებლათ, მისი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო.

დედა ბარბალე, ძმები იოსებ და ივანე, დები ნინა და მარიამ ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ **კვირას, 22 დეკემბერს**, ქაშვეთის წ. გ. ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარი

გლაძიმერ გობეჩიას

სულის მოსახსენებლათ მისი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო.

სოც.-რევ. საპარლამენტო ფრაქცია ამით აცხადებს, რომ **კვირას, 22 დეკემბერს**, ქაშვეთის წ. გ. ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ძველი რევოლიუციონერის, **საქართველოს პარლამენტის წევრის**

გლაძიმერ გობეჩიას

სულის მოსახსენებლათ, მისი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო.

ქართული ლაგარია.

მოქალაქენო, ნუ აგვიანებთ ბილეთების შეძენას.

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლოვსკაია. საგანგებო.

მედიცინის დოქტორი ქენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამის 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ., სახლი № 119 ტელ. 8—26.

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველგვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 ს. პეტრე დიდის ქ. № 26 ტელ. 5—86

ქ. თბილისი, დეკემბრის 20.

აფხაზეთის მომავალი. დღეს პარლამენტში გაირჩევა დებულება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა. როგორც ვიცით, აფხაზეთში რევოლიუციის შემდეგ დაარსდა სახალხო საბჭო, რომელმაც იკისრა აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. აფხაზეთის სახალხო საბჭო შეეკრა საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და მთავრობას სხვა და სხვა ხელშეკრულებებით.

ამ ხელშეკრულებათა ზოგიერთი მუხლები იმდენათ ბუნდოვანია, რომ მათ შეიძლება მიეცეს სხვა და სხვა აზრი და განმარტება. ამით ისარგებლეს აფხაზეთის რეაქციონერებმა, ისინი დღესაც განაგრძობენ თავის აგიტაციას საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და თავგამოდებით იცავენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. აფხაზეთის ახალ სახალხო საბჭოს ერთი უმთავრესი დანიშნულება და მიზანი არის აფხაზეთის პოლიტიკური თვითგამორკვევა. ამიტომ აფხაზეთს უნდა მიექცეს უაღრესი ყურადღება. კონტრ-რევოლიუციონერებსა და დენიკინის მიმდევართ დემოკრატიის სალმა-ელემენტებმა უნდა დაუპირდაპირონ თავისი აგიტაცია და ორიენტაცია.

აფხაზეთის დემოკრატია ინსტინკტიურად გრძნობს, რომ მისი მომავალი მჭიდროთ დაკავშირებულია საქართველოს მომავალთან, მან კარგათ იცის, რომ ისინი, ვინც დღეს ასე თავგამოდებით იცავენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ხვალ და ზეგ პირს იბრუნებენ ან ოსმალეთისაკენ, ან დენიკინისაკენ, რათა ასეთი პოლიტიკური კომბინაციით უზრუნველჰყონ თავიანთი პრივილეგიები, რომლებსაც სრული გაუქმებით და გაქარწყლებით ემუქრება საქართველოში გამარჯვებული რევოლიუცია.

აფხაზეთის დემოკრატია ილტვის საქართველოს დემოკრატიისაკენ და ჩვენი მმართველი და კანონმდებელი წრეების მოვალეობაა ამ მიმზიდველობას ჩაუყარონ მტკიცე საფუძველი, რაც შესაძლებელია ღრმა სოციალური ცვლილებებით და ჭეშმარიტ რევოლიუციონური შემოქმედებით.

მოსკოვი ბერლინისაკენ.

ბევრს ეგონა, რომ ბოლშევიკების ბატონობა ხანმოკლე იქნებოდა. მაგრამ დღეს სულ წინააღმდეგს ვხედავთ. უკანასკნელი ცნობებით ბოლშევიკები ძლიერდებიან. ისინი ახალ-ახალ ალაგებს იკავებენ და იძენენ, როგორც ფიზიკურ ისე მორალურ ძალას.

ბოლშევიკური მოძრაობა გერმანიაშიც იკიდებს ფეხს. გერმანიის დემოკრატიის ორგანიზაციული შეკავშირება და საერთო პოლიტიკური მომზადება თითქოს გვაძლევდა იმის გარანტიას, რომ იქ ბოლშევიზმს გასავალი არ ექნებოდა, მაგრამ სინამდვილე სხვას გვეუბნება. ბოლშევიკური მოძრაობა იქ თანდათან ძლიერდება, ალაგ-ალაგ შეიარაღებულ აჯანყებებათ იქცა. ბოლშევიზმის გაძლიერებას გერმანიაში ბევრი რამ უწყობს ხელს. ჯერ ერთი თვალსაჩინო მიზეზთაგანი ის გარემოებაა, რომ ომი ფაქტიურათ კიდევ გრძელდება. გამარჯვებული კოალიციის ჯარი გერმანიის გულისაკენ მიიწევს. ეს ფაქტი გერმანიის დემოკრატიის სუსტ ელემენტებს სასოწარკვეთილ მაქსიმალიზმში აგდებს. ომმა, როგორც ყველგან, ისე გერმანიაში შექმნა განსაკუთრებული ფსიხოლოგიური ტიპები, რომლებიც, განცდილ სულიერი კრიზისის გამო, დაბეჭილია და არა მიზანშეწონილათ სადღაც მიექანება. ამ ფსიხოლოგიურ ტიპებზე ჩვენ ერთხელ გვქონდა ლაპარაკი, როდესაც რუსეთის ბოლშევიზმის წარმოშობის მიზეზებს ვარკვევდით.

გერმანია ბევრით განსხვავდება რუსეთისაგან. გერმანიის დემოკრატია კლასიური გათვითცნობიერებით ბევრათ მაღლა სდგას რუსეთის დემოკრატიაზე, ორგანიზაციულათაც უფრო შეკავშირებულია, მასთან სოციალურ-ეკონომიური წყობილება გერმანიის წინაა რუსეთისაზე. თვით ფსიხოლოგია გერმანელის თვალსაჩინოთ განსხვავდება რუსის ფსიხოლოგიიდან. გერმანელი უფრო წინდახედული და ანგარიშიანია. რუსი კი ხშირათ სტიქიონს ემორჩილება. ყველა ამ მიზეზების გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლშევიზმი, თუ ის გერმანიაში გაბატონდა, ბევრში არ ემგვანება რუსეთის ბოლშევიზმს. გერმანიის ბოლშევიზმი უფრო რევოლიუციონურათ და ორგანიზაციულათ ჩატარდება, ვინემ ანარქიულათ. და თუ ბოლშევიზმმა სტიქიური ხასიათი მოიცილა, ის გადაიქცევა დიად საღ რევოლიუციონურ მოძრაობათ.

ჩვენ ერთ ჩვენს წერილში ვამბობდით, რომ რევოლიუციის და სოციალიზმის თვალსაზრისით ბოლშევიზმთან ბრძოლა ტლანქი საშვალებით არაა მიზანშეწონილი. ბოლშევიზმის დამარცხებას კი არ უნდა ვცდილობდეთ, არამედ მის გარდაქმნას რევოლიუციონურ მეთოდიურ მოძრაობათ. ეს გარდაქმნა, თუ შესაძლებელია სადმე, უწინარეს ყოვლისა გერმანიაში იქნება შესაძლებელი იმ პირობების მეოხებით, რომლებიც ზევით აღვნიშნეთ. მოსკოვი ბერლინისაკენ მიიწევს. რუსეთის ბოლშევიზმი გერმანიის ბოლშევიზმს უკავშირდება, უკიდურეს მემარცხენეთა ფრონტი ერთიანდება. თუ ეს გაერთიანება მოხდა და გერმანია-რუსეთის ბოლშევიზმმა შესძლო რამოდენიმე ხანს პოზიციების შენარჩუნება, უეჭველია, მას ახალ-ახალი ელემენტები შეურთდებიან და მისი რაზმები თანდათან გაძლიერდებიან. ამგვარათ, როგორც ერთხელ აღვნიშნეთ, ორი უკიდურესობა—ბოლშევიზმი და იმპერიალიზმი — ერთი მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეეჯახენ. ბრძოლა გრანდიოზულია და აღსავსეა მრავალ მეტათ მნიშვნელოვანი და მასთან მოულოდნელ შედეგებით. ვგონებთ, ეს ბრძოლა იოლათ და მოკლე ხანში არ დასრულდება.

ილიანი.

ცნობის უარყოფა

გუშინდელ ნომერში მოთავსებული ცნობა ინგლისელების ჩვენ და სომხეთის ურთიერთობაში ჩარევის შესახებ, სინამდვილე არაა.

ახალი ამბავი.

(დ ე პ ე შ ა)

თბილისი, 19 დეკემბერი. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „მთელი ქუთაისი იმედიან აღტაცებით შეეგება მთავრობის პრძანებას მობილიზაციის მოხდენის შესახებ. გაიმართა დიდი მანიფესტაციები: მთელი ხალხი მზათ არის იარაღით ხელში დაიცვას სამარადისოთ, საყვარელი დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. მრავალ ათასიან რიცხოვანი მიტინგი გესალმებათ თქვენ. გაუმარჯოს ქართველერს, მის სახელოვან ლაშქარს და რევოლიუციონურ ჩვენ მთავრობას".

თბილისი, 19 დეკ. (დეპეშა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია ბორჯომიდან შემდეგი დეპეშა: „ვიწრო ნაციონალისტურ შოვინისტურმა მიმართულებამ შეიწირა სომეხ-ქართველთა ურთიერთობაში მტრული განწყობილება, რომელიც დღითი დღე ვითარდება და გვიქადის სისხლის ღვრას. თუ ეს ანტაგონიზმი განვითარდა და რვალური შედეგები მოჰყვა, ეს დალუბვისაკენ წაიყვანს, როგორც ქართველ, ისე სომხის დემოკრატიას. ჩვენ, ბორჯომში მცხოვრები სომეხთა საზოგადოება, როგორც თავისუფალ საქართველოს ქვეშევრდომებს, მეტად გვაღელვებს აღნიშნული მდგომარეობა, რადგანაც ის მოვლენა, რომელიც მავნებელია საქართველოს რესპუბლიკისთვის, მავნებელია და შემაძრწუნებელი აგრეთვე სომეხთათვის. ამიტომ ზემოხსენებული სომეხთა სა-

ზოგადოება გმობს რა იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებენ სომხის და ქართველთა შორის ძიებით გაჟღენთილი ნაციონალისტები. გთხოვთ თქვენ, ნოე ნიკოლოზის ძევ, მიიღოთ ყოველივე ზომები სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ და სომეხ-ქართველთა შორის სადავო საკითხების გადასაჭრელათ კონფერენციის და არბიტრაჟის საშუალებით. რეზოლიუცია გამოტანილ იქნა 16 დეკემბერს სომეხთა საზოგადო ყრილობაზე". ყრილობის თავმჯდომარე ვ. დავთიანცი.

⊖ **ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ.** 16 დეკემბერი 1918წ. № 103. საომარ ასპარეზზედ მყოფი ლაშქარი სხვადასხვა მიზეზების გამო მოკლებულია ცხელ საჭმელებს, რომ ასეთმა შემთხვევებმა არ ავნოს მეომართ ჯანმრთელობას — ვბრძანებ: საქართველოს ჯარის მომრიგებელის უფროსის მიერ ამა წლის 24 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული $^1/_2$ მისხალი ჩაის და 8 მისხალი შაქრის რაოდენობა გადიდებულ იქნეს ომის ასპარეზზედ მყოფ ლაშქრის თვის ჩაის $^3/_4$ მისხლამდის და შაქრის 12 მისხლამდე. განსაზღვრა ომის ასპარეზისა ზურგის ჯარისაგან მიენდოს ლაშქრის მთავარ სარდალს. სამხედრო მინისტრი **გიორგაძე.**

○ **ვაზეთების დახურვა.** გენერალ გუბერნატორის განკარგულებით დაკეტეს გაზეთი „ნორ ორიზონი" და „აშხატავორი".

○ **ლექცია.** დღეს 20 დეკემბერს საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში ნაძალადევში ალ. ჟორჟოლიანის მორიგ ლექციის მაგიერ ფსიქოლოგიიდან, იმავე ლექტორის მიერ წაკითხულ იქნება მოხსენება „ინტერნაციონალური და ნაციანალისტური პოლიტიკა". (სოც-დემოკრატები და დაშნაკციუტუნი.)

○ **მისალმება საქართველოს ჯარს და გვარდიას.** საქართველოს პარლამენტი სალამს მიუძღვნის საქ. რესპუბლიკის ჯარს და სახალხო ხვარდიას, რომელნიც სისხლით იცავენ საქართველოს რესპუბლიკას ვერაგულ თავდასხმისაგან.

⊖ **სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში.** სახალხო უნივერსიტეტის ქართული განყოფილების მუშაობა ნაძალადევში თანდათან სასურველ ნიადაგზე მკვიდრდება. ლექტორები ხალისით ეკიდებიან თავის მოვალეობას. მსმენელთა რიცხვი მატულობს. ამჟამათ 22 ლექტორი მუშაობს; ამ დღეებში მეორე სემესტრისათვის ლექტორთა კოლეგიაში შევიდა ამხ. სერგ. როგბაქიძე--სამშობლოს აღწერა, ლ. შენგელაია--ხელოვნება და სხვები. კვირაში 10 ლექცია იკითხვის; კვირაში ერთხელ იმართება შეერთებულ აუდიტორიის თანადასწრებით პოლიტიკური, ან კულტურული მნიშვნელობის საღამო, ბუნდოვანი სურათებით, მოხსენებები და ლიტერატურული საღამოები. მოკლე ხანში ამხ. დავ. ონიაშვილის თავმჯდომარეობით განზრახულია საქართველოს უკანასკნელ მეფის გასამართლება ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა" მიხედვით. მეცადინეობა დაიწყო მუსიკისა და კოოპერაციის შესასწავლ სექციებში.

შექმნილ მდგომარეობის გამო ყოველ დღე ლექციების დასაწყისში ლექტორები აუდიტორიას აცნობს მომენტს და აწვდის მსმენელთ ფრონტიდან მოსულ ცნობათ, რათა წესი და მყუდროება დაცულ იქნეს ჩვენ მე რძოლთა ხელის შესაწყობათ.

⊖ **მობილიზაციის. შესახებ** თბილისის მაზრის სამხედრო საქმეთა უფროსმა, პოლკოვნიკ ჟღენტმა განცხადება გამოაკრა, რომ ის პირნი, რომელთაც მობილიზაცია ეხება და მოხალისეთ ჩაწერა სურთ უნდა გამოცხადდენ სამხედრო სამმართველოში, ამ მისამართით: სადგურის ქუჩა, სადგურის პირდაპირ ტამაშოვის სახლში.

⊖ **ექიმების გაწვევა.** მობილიზაციის ძალით სამხედრო სამსახურში უნდა გამოცხადდენ ექიმები 35 წლამდე რომელნიც არ მსახურებენ სამხედრო დაწესებულებაში, ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებაში და საერობო დაწესებულებაში.

○ **სავალდებულო დადგენილება** ქ. თბილისის და მისი მიდამოების ღენერალ-გუბერნატორის თანახმად გამოცემულ წესდებისა იმ ადგილებზე სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები აკრძალულია დაბეჭდვა და გაყიდვა ჩემდამი რწმუნებულ საღენერალ-გუბერნატორში ტელეგრაფულ ცნობათა, რომლებიც გამომდინარეობენ კერძო საგენტოებისა და წყაროებისაგან. ნება დართულია ბეჭდვა და გაყიდვა მხოლოდ საქართველოს ოფიციალურ სატელეგრაფო სააგენტოს ტელეგრამებისა. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი იქნებიან ადმინისტრატიულ წესით დასჯილნი ციხეში წელიწად ნახევრის ვადით, ან დაჯარიმებული ათი ათასი მანეთით. ღენერალ-გუბერნატორი, ღენერალ-მაიორი **მაზნიაშვილი.**

○ **მთიელთა რაზმი.** თბილისში ჩამოვიდა თუშ-ფშავ-ხევსურთაგან შემდგარი რაზმი.

○ **მთებისაკენ.** პარლამენტის წევრი შალვა ქარუმიძე მთებში წავიდა მთიულების რაზმების შესადგენად.

რესპუბლიკის საზღვრებზე.

(სამხედ. შტაბის ცნობა).

სადახლოსთან.

18 დეკემბერს, დაახლოვებით 5 საათზე სომხების ნაწილებმა სადახლოსთან ისარგებლეს ღრუბლიანი ამინდით, ჩამოეშვენ მთებიდან და შემოუტიეს ჩვენს ნაწილებს. მაგრამ ისინი მალე დიდად დაზარალებულნი მოგერებულ იქნენ. მალე მტერმა ისევ განაახლა შემოტევა, მაგრამ ჩვენი ნაწილების კონტრ-შეტევით იძულებული შეიქნა გაქცეულიყო, რის შემდეგ ბრძოლის ველზე დასტოვეს 3 ოფიცერი და რამოდენიმე ათეული ჯარისკაცი. ტყვედ წამოყვანილია 2 ოფიცერი (ერთი მათგანი რუსია) და 37 ჯარისკაცი.

ახალქალაქის მაზრაში.

ახალქალაქის მაზრაში მდგომარეობა უცვლელია. გამოირკვა, რომ ყველგან ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომეხთა რეგულიარული ნაწილები.

ტყვეთ წაყვანილთა დახვრეტა.

პირველ დღეებში ტყვით წაყვანილი 5 ქართველი ჯარისკაცი სომხებს დაუხვრეტიათ.

რესპუბლიკის დასაცავად.

ღენერალ-მაიორ მაღალაშვილის მეთაურობით თბილისში სდგება ოფიცერთა და მოხალისე ჯარისკაცთა რაზმები, რომელთა მიზანია შეებრძოლონ რესპუბლიკის მტრებს საზღვარზე.

ტყვე სომხები.

თბილისში ჩამოიყვანეს გენ. წულუკიძის მიერ გამოგზავნილი ტყვე სომხის ჯარისკაცები.

სომხების დროშა.

გუშინ დილით თბილისში ჩამოიტანეს სადახლოსთან ბრძოლაში წართმეული სომხების დროშა.

სომხეთის დამარცხება.

(შტაბის ცნობა)

ეხლა დამთავრდა ჩვენი სახალხო გვარდიის ბრძოლა სომხების რაზმთან, რომელიც გვარდიას თავს დაესხა ეკატერინოფელდში. ბრძოლა დაიწყო დილის 6 საათზე. მტერმა ისარგებლა ნისლით და ყოველმხრივ გარს შემოერტყა გვარდიას და შემოუტია ჩვენს ბატარეებს. მაგრამ ჩქარი კონტრ-იერიშით მტერი დამარცხებულ იქნა და გაიქცა ბრძოლის ველიდან.

სომხებს დიდი ზარალი მივაყენეთ. მთელი ველი მოფარულია დახოცილთა გვამებით; ტყვეთ წამოვიყვანეთ სომხების ბათალიონის უფროსი, რამოდენიმე ოფიცერი და ჯარის-კაცები.

მტერს შეუწყვეტლივ უკან ვსდევნით.

ბრძოლაში გმირულად მოკვდა სახალხო გვარდიელი სანდრო მაისურაძე.

განწყობილება გვარდიისა საუცხოვოა.

(ცნობა მიღებულია რედაქციის მიერ 19 დეკ. დღის 3 ს.)

გერმანიის დელეგაციის ცნობები.

თბილისი 18 დეკემბერი.

ცეცხლი „პალას ოტელში".

გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ ფონ კრესმა „პალას-ოტელში" ცეცხლის გაჩენის გამო შემდეგი ნოტა გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრს: „სხვა და სხვა გაზეთებში მოთავსებული იყო, რომ „პალას-ოტელის" ცეცხლის გაჩენის და გაძლიერების მიზეზი იყო ის, რომ თითქოს იქ გერმანელებს ჰქონდეთ დიდი ძალი ბენზინი, ნავთი და ასაფეთქებელი მასალა. მე პატივი მაქვს მოვახსენო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომ ეს სრულიადაც არ შეეფერება სიმართლეს, მცირე ნაწილის გარდა, რომელიც გასათბობად საჭირო იყო, ჩვენ ჯარისკაცებს ცეცხლის გაჩენის წინა დღით, არ მიუტანიათ არავითარი ბენზინი, ნავთი ან რაიმე ასაფეთქებელი ნივთიერება".

გერმანელების საქონელი ცეცხლის დროს არ დაზარალებულა, რადგანაც მსწრაფლ გამოწვეულ იქნენ ჯარისკაცები, რომლებმაც საკომენდანტოს მოწყობილება გადიტანეს.

გერმანიაში.

გერმანიის სხვადასხვა ნაწილებში ხდება არჩევნები თავის დამფუძნებელ კრებებში. არჩევნებში იმარჯვებენ ზომიერი სოციალისტები. გადიან აგრეთვე ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარტიის კანდიდატები. დამოუკიდებლები უმცირესობაში არიან.

დიპლომატიური კავშირის შეწყვეტა პოლონეთისა და გერმანიის შორის.

16 დეკემბერს დიპლომატიური კავშირი პოლონეთსა და გერმანიას შორის შესწყდა, ამის ინიციატორი პოლონეთი იყო. მან განაცხადა, თითქოს გერმანიასთან კავშირი მის შინაურ ურთიერთობას ავნებს, ნამდვილად კი, მას სურს ისარგებლოს შემთხვევით და აიღოს პოზნანის ქალაქები და ამით საზავო კონგრესი უკვე მომხდარ ფაქტის წისაშე დაყენოს.

გერმანელ ჯარის ევაკუაცია საქართველოდან.

გემი „როდოსტო" ადესისკენ წავიდა. რადგანაც გზა პოლონეთზე შეიკრა შემდეგი ტრანსპორტის გაგზავნა შეჩერებულია. საქართველოში ეხლა 1,000 ჯარისკაცამდე იქნება. დელეგაციის თავმჯდომარემ დეპეშა გაუგზავნა გერმანიის უმაღლეს სარდლობას და სამხედრო მინისტრს, რომ მოხერხდეს ჯარის გამგზავრება დარდანელით.

სოლფის გადადგომა.

გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარი სოლფი თანამდებობიდან გადადგა. ჯერ-ჯერობით მოვალეობას ისევ ასრულებს, სანამ მისი მოადგილე გამოინახებოდეს

უკრაინის ამბები [illegible] **მყოფი გერმანელი ჯარები.**

უკრაინაში მყოფ გერმანელ ჯარებს ნაბრძანები აქვთ უკრაინის ამბებში ნეიტრალიტეტი დაიცვან, მაგრამ ეს ზოგ ალაგას ვერ ხერხდება ადგილობრივი პირობების გამო.

მაკენზენის ჯარი.

მაკენზენმა მოასწრო რუმინიიდან ჯარი გაეყვანა, მაგრამ 2,000 ჯარისკაცი იქ მაინც დარჩა, რომლებიც ტყვეთ ჩაიგდეს რუმინელებმა.

იუსტიციის სამინისტროში

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე დანიშნულია გასარჩევათ 21 დეკემბერს საგანგებო სასამართლოში.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორად ინიშნება იმავე სასამართლოს წევრი ხარაზოვი.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

სამინისტროს კანცელარიამ მიიღო პარლამენტის იურიდიული კომისიის მიერ შესწორებული კანონ-პროექტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

დუშეთის ამბების გამოძიება.

დუშეთის ამბების გამომძიებელმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და სამინისტროს წარმოუდგინა საქმე 6 ტომათ სათანადო მსვლელობის მისაცემათ.

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მეორე სრილოგა.

12 დეკემბრის საღამოს სხდომა.

(გაგრძელება).

მოხსენების შესახებ კამათი იმართება.

ამხ. **სამ. მარგველაშვილი** ამბობს: საგარეო პოლიტიკას მე არ შევეხები, ხოლო რაც შეეხება ჯარის შედგენის საკითხს, მეტად არა სასურველია, რომ ც. კ. ერთს აზრს იცავს, ხოლო მთავრობაში წარმომადგენელი მეორეს; ეს დაუშვებელია, და ამას ყურადღება უნდა მიექცესო.

ამხ. **გ. მამამთავრიშვილი:** მომხსენებლის აზრი, თითქოს მთავრობას გარკვეული გეზი ქონოდეს, არ არის სწორი. მართალია, მის პოლიტიკამ ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა, მაგრამ ნუ დაგვიწყდება ისიც, რომ ამან მოგვცა გერმანიის იმპერიალიზმის მეგობრობა, ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ გერმანიას რომ გაემარჯვებინა მძიმე ეკონომიურ უღელს დაადგამდა ჩვენს ხალხს. ახლა გერმანია საფრთხე არ არის, მაგრამ სამაგიეროთ ინგლისის კოალიციის საფრთხე თავიდან ჯერ არ აგვიცილებია.

შინაურ პოლიტიკაში მთავრობის აგენტების უკანონო მოქმედებამ მოგვცა სხვა და სხვა კუთხეებში აჯანყება, რომლის ჩაქრობა ძვირათ დაუჯდა ხალხს და მთავრობასაც სახელი გაუტეხა.

კერძოთ, სასურსათო სამინისტროს რაც შეეხება, უნდა ვთქვათ, რომ მის სათავეში მოქცეულმა ამხანაგებმა სათანადო ფხა ვერ გამოიჩინა

ამხ. **ივ. გოგოლაშვილი:** ამხ. გ. მამამთავრიშვილი მთავრობის საგარეო პოლიტიკას სდებს წუნს, მაშინ როდესაც მთავრობის მოქმედების ყველაზე უფრო მისაღები ნაწილი სწორედ იგია. რაც შეეხება მის შინაგან პოლიტიკას; აქ აუარებელ შეცდომებს ვპოვებთ. ეს შეცდომები დაღუპვას უმზადებს ჩვენს დამოუკიდებლობას; განსაკუთრებით ეს ითქმის მთავრობის მოქმედებაზე აფხაზეთში; აქ მთავრობა ნაციონალისტურ პოლიტიკას აწარმოებდა, რასაც შედეგათ შეიძლება მოჰყვეს ეროვნული შუღლის გაღვივება ადგილობრივ. აფხაზეთში მოსახლეობენ გარდა აფხაზებისა, რომელიც უმეტესობას წარმოადგენენ, სომხები, ბერძნები და სხვა. მათში მთავრობა თავის მოქმედების დროს ყველაზე არა საიმედო, დაუდეგარ ბერძნებზე ემყარება. მაშინ, როდესაც თვით აფხაზების მიმართ მთავრობა ყოვლად უტაქტოთ იქცევა: როგორც შინაგან საქმეთა აგრეთვე სამხედრო საქმეთა — წყვეტებს ადგილობრივ, არასაიმედო და მავნე პირებს — უდგანან სამსახურში; განსაკუთრებით სამხედრო უწყებას სჭირდება „ფილტრაცია"... ყოველად მოუტევებელია აგრეთვე მთავრობის ჯარების მოქმედება: რეკვიზიციით სული ამოხადეს ხალხს და ამის შედეგი ის გახლავთ, რომ ერთ დროს მენშევიკების მომხრე და მთავრობის გამგონე სამურზაყანო, დღეს მთავრობის საწინააღმდეგოდ არის განწყობილი.

ამხ. **გრ. კვაშალი:** მთავრობის პოლიტიკა საგარეო საქმეებში თვითვე შემცთარი იყო; როცა რუსეთის ბოლშევიზმი ქვეყნის ბედს სწყვეტდა ბრესტ-ლიტოვსკში, მან თავისი წარმომადგენელი იქ გაგზავნა; როცა ჯარები 1914 წლის საზღვარს იქით იყვნენ და ოსმალეთი ზავს ითხოვდა, მაშინ მთავრობამ გააჭიანურა საქმე, რასაც მოყვა ოსმალეთის საფრთხე, რომელსაც მხოლოდ შემთხვევამ გადაგვარჩინა.

შინაგან პოლიტიკის სფეროში ა[illegible] შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარ[illegible] მოება, რომ მთავრობამ საჭირო[illegible] დაინახა ჯარის შექმნა და ჯარს [illegible] არჩევნო უფლება აჰყარა; და [illegible] მაშინ, როდესაც მილიციას და გვარ[illegible] დიას სრული საარჩევნო უფლ[illegible] აქვს. ამ შემთხვევაშიაც ჩვენს ხ[illegible] ანგარაში არ გაუწიეს ს. დ.-ებ[illegible] ყოველს ნაბიჯს მთავრობისას, [illegible] შევიკების ც. კ.-ის ბეჭედი არ[illegible] და თუ ჩვენი არაფერი გადის, ს[illegible] ბია მთავრობიდან გამოვიდეთ [illegible] პარლამენტშიაც ოპოზიციის გზ[illegible] დავადგეთ.

ამხ. **გ. ალშიბაია** ეხება ჩვ[illegible] წარმომადგენლობას მთავრობაში [illegible] ამბობს, რომ საჭიროა ბოლოს [illegible] ბოლოს გამოვარკვიოთ სავსებით, [illegible] როგორ უყურებთ ჩვენ ამ საკითხ[illegible]

ამხ. **ილ. კაკაბაძე:** საჭირო [illegible]

ამხ. **პ. საბაშვილის** საქმისათვის [illegible] რადღება დროზე მიექცია ამხანაგ[illegible] მინისტრს; რაც შეეხება ჯარის [illegible] ქმნის საკითხს, მინისტრი ვალდებ[illegible] ლი იყო ცენტრალურ კომიტეტ[illegible] დადგენილებას დამორჩილებოდა.

ამხ. ილ. თევზაძე. მოხსენებ[illegible] ჩვენ უნდა მიუდგეთ იმ თვალსაზრ[illegible] სით, თუ რამდენად ატარებდა თავ[illegible] მოქმედებაში პარტიულ პრინციპ[illegible] ამ მხრივ საგარეო პოლიტიკაში პა[illegible] ტიული თვალსაზრისისათვის არ [illegible] დაუხვევია ამხანაგს; რაც შეეხ[illegible] მუდმივი ჯარის საკითხს, ამხანა[illegible] შემცდარია იმ მხრივ, რომ პარტ[illegible] დადგენილება არ დაიცვა.

რაც შეეხება სასურსათო საქმ[illegible] გარშემო ამტყდარ აყალ-მაყალს, [illegible] განგებ არის ატეხილი, და ამხა[illegible] მინისტრს უნდა მიექცია ამისთვ[illegible] სათანადო ყურადღება.

საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ [illegible] პარტიის შეხედულებებს ვერ ა[illegible] რებს სრულებით ჩვენი წარმომა[illegible] გენელი მთავრობაში, უმჯობეს[illegible] სულ არ გვეყოლოს მთავრობ[illegible] წარმომადგენელი.

ამხ. ივ. ბახტაძე ამბობს: აქ [illegible] ვენ მთავრობის საგარეო პოლიტ[illegible] კას, თუმცა საკითხია ჩვენ გ[illegible] გვარჩინა მთავრობის პოლიტიკუ[illegible] სიბრძნემ თუ სხვა გარეშე მოვლ[illegible] ბმა. ხოლო შინაური პოლიტ[illegible] იმას მოწმობს, რომ მთავრობა ხ[illegible] კი არ იცავდა, არამედ მისი მო[illegible] დება იყო ანარქიის უმთავრესი [illegible] ზეზი. საკმარისია გავიხსენოთ, [illegible] რას წარმოადგენდა დუშეთის, [illegible] ხუმის და სხვა ადგილების რ[illegible] ლიუციონური მოძრაობის ჩაქრ[illegible] რომ ეს ჩვენთვის ნათელი გახ[illegible] განა იმ სამხედრო მინისტრს, [illegible] ქელმაც შტაბები გაავსო პროპა[illegible] დისტებით, შეეძლო ხალხის, ქვ[illegible] დაცვა განადგურებისაგან?

ამხ. ქრ. კალანდარიშვილი ბობს, რომ მთავრობამ საკმარ[illegible] ვერ დაიცვა ხალხი გარეშე საფრ[illegible] საგან, მართალია ქუთაისი [illegible] თბილისი გადაურჩა უბედურ[illegible] მაგრამ განაპირა მხარეებმა ხიფ[illegible] თავი ვერ დააღწიეს; ეს ითქმის [illegible] გალითად ოზურგეთის მაზრისა[illegible] აგრეთვე იმ ადგილების შესა[illegible] სადაც ოსმალებმა გადმოიარესო[illegible]

ამხ. ნ. დაცენკო: მთავრო[illegible]

ჩვენი ოპოზიცია მეტად მკრთალი ყოფილა და ეს არც გასაკვირველია, ვინაიდან შეუძლებელია ერთმა კაცმა ოპოზიცია შექმნას მთავრობაში; აქედან ერთი დასკვნა გამომდინარეობს: რადგანაც მასების თანაგრძნობა ჩვენდამი უფრო და უფრო იზრდება, პარტია ჩვენი უფრო ძლიერი ხდება, საჭიროა ჩვენი წარმომადგენელთა რიცხვი მთავრობაში გადიდდესო.

ამხ. ლ. შენგელაია: მოხსენება, რომელიც ჩვენ აქ მოვისმინეთ, არსებითად პარტიული წარმომადგენლის მოხსენება არ იყო; ის, რასაც აქ ყურადღება მიაქცია მომხსენებელმა, ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო.

პარტიის წარმომადგენელი მთავრობაში არის გამომხატველი პარტიული აზრისა, და ცხადია, ყოველი მისი ნაბიჯი უნდა იყოს პარტიის მიერ ნაჩვენები, დადასტურებული და მოწონებული. ამ მხრივ ამხანაგს საყვედური ეთქმის. ცენტრალურმა კომიტეტმა ხშირათ არ იცოდა, თუ რას აკეთებდა ჩვენი წარმომადგენელი მთავრობაში, და ეს მაშინ, როდესაც უმრავლესობის პარტია, რომელიც უაღრესად საჭელმწიფოებრივ თვალსაზრისზე უნდა იდგეს, უაღრესად ჯგუფურსა და ვიწრო პარტიულ თვალსაზრისზე დგას. ეს მისაღები არაა ჩვენთვის, მაგრამ მდგომარეობას ანგარიში მაინც უნდა გავუწიოთ. ჩვენი წარმომადგენელი მთავრობაში ხშირად შეუსაბამო ნაბიჯს სდგამდა. მაგალითად, ეს ითქმის მუდმივი ჯარის საკითხის შესახებ და მრავალ სხვებზე. პარტიული მუშაობა არის საფუძველი ჩვენი არსებობისა, ის ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს; ამ მხრივ, არ იყო დამაკმაყოფილებელი ამხანაგის მოქმედება.

რასაკვირველია, თუ ალტერნატივა გვაქვს ასეთი: ან ერი, ან პროგრამის რომელიმე მუხლი, თუნდაც სოციალიზაცია, ჩვენ ერის სამსხვერპლოზე უნდა მივიტანოთ ჩვენი პარტიული მოთხოვნილებნი, მაგრამ როცა ასე არა სდგას საკითხი, მაშინ ჩვენი პირტიული რაობა სათანადო სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ.

შემდეგ ეხება გზათა უწყების დეფიციტებს, სასურსათო საქმის უარყოფით მოვლენებს და არ მიაჩნია სასურველად ამხანაგის ზოგი ნაბიჯები და დასასრულ ამბობს:

პარტიას არ შეუძლია პასუხი აგოს თავის წარმომადგენლის მოქმედების გამო, თუ იგი პარტიის დადგენილებას არ ემორჩილება.

მოხსენებელი **ამხ. ივ. ლორთქიფანიძე** უპასუხებს ოპონენტებს: აქ ზოგი გაუგებრობა არის; სასურსათო სამინისტრო არ არებობდა ოფიციალურათ და მე მქონდა მონდობილი მხოლოდ გზათა სამინისტრო; ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალი გამოაშკარავებს, თუ რა გააკეთა ამ უწყებამ თავის დროზე.

რაც შეეხება ჯარის შექმნის საკითხს, მისი წინასწარი განხილვა ც. კ.-ში არ მოხერხდა ტეხნიკურად, და ამაში მე ისეთი ბრალი არ მიძღვის, როგორც აქ ამბობენ.

აქ ზოგი ამხანაგები ეხებიან კომისარიატის მოქმედებას და მას აკრიტიკებენ; უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოქმედებისათვის, და მე ამ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის შესახებ გავაკეთე მოხსენება. არ არის მართალი ამხ. ივ. ბაბუაძის აზრი: ის ნაწილებიც, რომელნიც ჩვენ ჩამოგვცილდენ, დღეს ჩვენსკენ მოისწრფვიან, სურვილს აცხადებენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში მოქცევისა.

საერთოდ შემდეგი უნდა ითქვას: თუ პარტიისათვის მავნე მთავრობაში მყოფი უნდა გამოვიწვიოთ წარმომადგენელი; ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ხაზი უნდა დარჩეს უწინდელი: ის მოითხოვს ერის ფიზიკურ განადგურებისაგან გადარჩენას, დამოუკიდებლობის პოლიტიკის წარმოებასა.

რაც შეეხება რკინის გზებზე უწესრიგობას, არ უნდა ვიმსჯელოთ აბსოლიტიურათ: შეადარეთ ჩვენი გზები სომხეთის, ადერბეიჯანის, უკრაინის გზებს და თქვენ დაინახავთ თუ რა განსხვავებაა ჩვენსა და იქაურ გზებს შორის. პირობები თანდათან უმჯობესდება და იმედი მაქვს ახლო მომავალში მდგომარეობა სავსებით გამოკეთდება...

თანახმათ ამხ. ლ. შენგელაიას წინადადებისა ამ მოხსენების შესახებ გადაწყდა არ იქნეს გამოტანილი რეზოლიუცია. სხდომა იხურება.

13 დეკემბერი. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ამხ. ივ. გობეჩია.**

სხდომის წესრიგშია მოხსენება საპარლამენტო ფრაქციისა; მომხსენებლად გამოდის ფრაქციის თავმჯდომარე ამხ. **იოს. გობეჩია.**

„მე დავალებული მქონდა გამეკეთებინა მოხსენება ფრაქციის მუშაობის შესახებ. წინდაწინ უნდა გითხრათ, რომ ფრაქციას მუშაობა მეტად მძიმე პირობებში უხდება; მსოფლიო ომის წყალობით არა თუ ჩვენ, მთელი მსოფლიო კრიზისს განიცდის; მსოფლიო ომის ქარტეხილის გავლენის გარეშე ვერც ჩვენი ქვეყანა დარჩებოდა, და როგორც ამ ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობის მონაწილე ჩვენი ფრაქციაც ამ გავლენას გვერდს ვერ აუხვევდა.

მაგრამ სანამ თვით საპარლამენტო ფრაქციის მუშაობაზე გადავიდოდე, მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ სეიმში ჩვენი მუშაობის შესახებ. იქ სულ ორი ამხანაგი ვიყავით: ამხ. ივ. ლორთქიფანიძე და მე. მიუხედავათ ჩვენი მცირე რიცხოვანობისა ჩვენი გამოსვლები ყოველთვის იყო გარკვეული და გაბედული, მაშინ როდესაც ეს არ ითქმის ზოგს ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვან ფრაქციების მუშაობის შესახებ სეიმში. ის ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებდა ამიერ-კავკასიის სემი დღიდან თვისი გაჩენისა და თავის არსებობის უკანასკნელ დღემდი—იყო ზავის საკითხი. ამ საკითხში სისტემატიური შეხლა-შემოხლა სწარმოებდა მუსავატელებსა და დაშნაკელებს შორის; იბრძოდა ორი ნაციონალისტური ბანაკი, და საერთო ენის მონახვა თანდათანობით შეუძლებელი ხდებოდა; ზავის საკითხის მოგვარება არ ხერხდებოდა; საფრთხე თანდათან იზრდებოდა, და როდესაც შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევა და ქვეყნის დაცვა სეიმმა ვერ შესძლო ის დაიშალა.

გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა; ჩვენ დავუჭირეთ მას მხარი, და არც შეეძლო ჭეშმარიტ სოციალისტ-რევოლიუციონერს სხვაფერ მოქცეულიყო, ვინაიდან ეს იყო ერთად ერთი გარანტია ჩვენი ხალხის ფიზიკური განადგურებისაგან გადასარჩენად; მაგრამ სხვანაირად შეხვდა ამ აკტს მეორე ჯგუფი, რომელიც დღეს „ზნამია ნაროდას“ გარშემო არის შემოკრებილი. მათი ცენტრალისტური ტენდენცია ჯერ კიდევ სეიმის მუშაობის დროს გამოაშკარავდა; და ჯერ კიდევ მაშინ ჩვენ იძულებული ვიყავით საჯაროთ გავმიჯნულიყავით იმ ჯგუფისაგან, რომელიც არღვევდა წმინდა ესერულ ტრადიციებს, რომელიც შემდეგშიაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ებრძოდა და ებრძვის მას.

სეიმში მუშაობისას ჩვენ ს. დ.-თან ვთანამშრომლობდით, და ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, ვინაიდან შეუძლებელია საერთო საფრთხის დროს ერთი ენა არ გამოიძებნოს სოციალისტური პარტიებს შორის.

როდესაც შესდგა დემოკრატიული საქართველოს პარლამენტი, ჩვენს ფრაქციას 12 ადგილი მიეცა, საერთო ძალთა განწყობილების მიხედვით.

პარლამენტში ჩვენი მუშაობის სამს მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება: საგარეო პოლიტიკისათვის, შინაგანი პოლიტიკისათვის და შინაური, ფრაქციული ცხოვრებისათვის.

მთავრობაში ჩვენ ერთი წარმომადგენელი გვყავს; როცა მთავრობა წარსდგა პარლამენტის წინაშე თვისი დეკლარაციით, ყველა ფრაქცია და მათ შორის ჩვენი, სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქცია თვისი დეკლარაციით გამოვიდა; ამ დეკლარაციის დებულებებს ემყარებოდა ის თავის მუშაობაში. მუშაობის პირველ ხანებში, განსაკუთრებით ამხანაგების ქუთაისიდან ჩამოსვლამდი, ჩვენი ფრაქცია სრული არ იყო: სულ 5—6 კაცისაგან შესდგებოდა. შემდეგშიც არ იყო მუდმივი შედგენილობა ფრაქციისა; ის იცვლებოდა, თუმცა ფრაქცია ღებულობდა ყოველს ზომებს ფრაქციის შესავსებად. ახლა ფრაქციის შედგენილობა სრულია.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას უნდა ითქვას, რომ მის წარმოებაში არსებითი განსხვავება არ ყოფილა სოციალისტურ პარტიათა შორის; ეს პოლიტიკა იყო მიმართული ერის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენისაკენ და უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით მან თავის მიზნებს მიაღწია, გადაარჩინა ერის არსებობა და რევოლიუციის მონაპოვარნი, ისე როგორც ეს ვერ შესძლო ვერც ერთმა ერმა ამიერ-კავკასიაში.

რაც შეეხება პარლამენტში მოქმედებას, აქ მთავარი ყურადღება იყო მიქცეული საპარლამენტო კომისიებში მუშაობაზე; ასეთ კომისიათა რიცხვი სულ ოცამდი აღწევს; მათში თითქმის ყველაში მონაწილეობდენ ჩვენი ამხანაგები; მე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას მთავარ კომისიებში მუშაობაზე, იქ შემუშავებულ და განხილულ კანონ-პროექტზე, თუმცა არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ სხვა და სხვა მიზეზების გამო სასურველად ვერ მუშაობდენ ჩვენი ამხანაგები. მთავარი კომისიები იყვნენ: საზავო, სამხედრო, აგრარული, გზათა და საფინანსო კომისია.

სამხედრო კომისიის გულისყური იმთავითვე მიიპყრო მთავარმა საკითხმა: დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო ძალა და ასეთი ძალი შექმნის პროექტის გამომუშავება დაისვა სამხედრო კომისიის დღის წესრიგში. ფრაქციამ ვერ მიაქცია ამას დროზე ყურადღება და როდესაც ეს საკითხი დაისვა პარლამენტში, ფრაქციამ იქონია საკითხის შესახებ მსჯელობა; თითქმის ორი დღე მუშაობდა ამ საკითხის გარშემო ფრაქცია; აქ ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: ერთნი იცავდნენ რეგულიარული ჯარის საჭიროებას, ხოლო მეორენი—სახალხო მილიციას; საბოლოოდ საკითხი გადაუჭრელი დარჩა და პარლამენტშიაც მოვითხოვეთ ერთი კვირით გადაედოთ კანონ-პროექტის განხილვა, რაც უარყოფილ იქნა.

იმავე სამხედრო კომისიამ შეიმუშავა დისციპლინარული წესდება, რომელიც არსებითად ნიკოლოზის დროის წესდებიდან არ განსხვავდებოდა; ჩვენ წავედით მის წინააღმდეგ. ასეთივე უარყოფითი იყო ჩვენი დამოკიდებულება სამხედროსაველე სასამართლოთა დაარსებისადმი.

აგრარულ კომისიაში მუშაობას და საერთოდ, აგრარულ საკითხს იმ თავითვე მიექცა დიდი ყურადღება; ფრაქციამ საგანგებო კომისიაც კი დააარსა, რომელსაც უნდა შეედგინა აგრარული კანონ-პროექტი, უნდა შეეფარდებინა სოციალიზაციის პრინციპები ადგილობრივი ცხოვრების პირობებისათვის; რამდენადაც ვიცით, კომისიას დამზადებული აქვს ეს კანონ-პროექტი.

ერთი საყურადღებო კანონ-პროექტი იქნა ფრაქციაში ამას წინად განხილული: ეს გახლდათ მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი მადნეული წყლების, აბანოების და სხვათა კონფისკაციის შესახებ. ფრაქციამ მხარი დაუჭირა ამ კანონ-პროექტს საერთოდ. მხოლოდ ამ თვალსაზრისვია შენობათა ჩამორთმევის საკითხმა; ერთნი საფასურით ჩამორთმევას ემხრობოდნენ, მეორენი კონფისკაციას მოითხოვდენ; გაიმარჯვა უკანასკნელმა მიმართულებამ.

მომავალში პარლამენტში დაისმება დიდმნიშვნელოვანი საკითხი: ჩამორთმეული მიწების ხალხისათვის გადაცემის საკითხი; და აქ მოხდება გენერალური ბრძოლა ჩვენსა და უმრავლესობის პარტიას შორის; ჩვენც ვემზადებით ამ დროისათვის და დარწმუნებული ვართ, რომ სათანადოთ მომზადებული შევხვდებით ამას.

რაც შეეხება გზათა კომისიას, მთავარი საკითხი მის მიერ წამოყენებული არის სენაკ-ზუგდიდის რკინის გზის გაყვანის საკითხი; ეს საკითხი დღეს დადებითად არის გადაწყვეტილი, და უნდა ითქვას, რომ საკითხის ასე გადაჭრა ჩვენი ფრაქციის თაოსნობას უნდა მიეწეროს.

სხვა საკითხებისაგან, რომელიც პარლამენტში გაირჩა, აღსანიშნავია შეკითხვები და მათ შორის შეკითხვა ბოლშევიკ პატიმრების მდგომარეობის შესახებ მასაც, როგორც სხვა შეკითხვებს, სათანადოდ ხვდებოდა ჩვენი ფრაქცია.

რაც შეეხება ფრაქციის ცხოვრების ტეხნიკურ მხარეს, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: გარდა კომისიებში მუშაობისა, ჩვეულებრივი სხდომები ფრაქციას აქვს კვირაში ორჯერ; ყავს მოწვეული საგანგებო პირი, რომელიც საქმის მწარმოებლის როლს ასრულებს და სხვა.

დასასრულ, ამხანაგებო, უნდა გითხრათ შემდეგი: როცა საფრთხე ევლინება დემოკრატიასა და რევოლიუციას, როცა შავი რეაქცია განადგურებას გვიქადის, ჩვენი პოლიტიკა არის პოლიტიკა შეთანხმებისა ყველა რევოლიუციონურ და დემოკრატიულ ძალებთან საერთო საფრთხის წინააღმდეგ. ასეთი იყო ჩვენი ფრაქციის ზოგადი პოლიტიკა წარსულში, ასეთი უნდა იქნეს, ჩემის აზრით, ის მომავალში.

(შემდეგი იქნება.)

საქართველოს პარლამენტი

(ჩვიდმეტი დეკემბრის სხდომა.)

(დასასრული)

სამხედრო მინისტრის ბ. გრიგოლ გიორგაძის სიტყვა.

მოქალაქენო! მას შემდეგ, როცა თავის სურვილი პარლამენტმა წარმოსთქვა, და ეს სურვილი აქ მოვისმინე, თამამად შემიძლიან გადავცე იმ ჯარს, რომელიც ჩვენ საზღვრების დასაცავად მიდის,—რომ მთელი ქართველი ერი, მთელი დემოკრატია მასთან არის, და მხარს დაუჭერს მას, ამ მძიმე პირობების ბრძოლის დროს, რომელიც დღეს არსებობს. (მხურვალე ტაში: „გაუმარჯოს საქართველოს ჯარს!“)

დამერწმუნეთ, რომ ამ ახალგაზრდა ჯარმა ამ სამ დღის განმავლობაში დაამტკიცა, რომ მას შეუძლიან თავისი მკერდი გაუშვიროს მოწინააღმდეგის ტყვიას.

ეს დაამტკიცა მან იმით, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ დღის განმავლობაში იგი იმყოფებოდა აუტანელ პირობებში, რომელთაც სხვა ვერ აიტანდა, და დაიღუპებოდა,—მან გაარღვია წრეები მოწინააღმდეგეებისა და მებრძოლის თავდადებით, ქართველურად სამშვიდობოს გამოვიდა! (მხურვალე, ხანგრძლივი ტაში. გაუმარჯოს! გაუმარჯოს!) გამოვიდა სამშვიდობოს, იმიტომ რომ ეხლა ახალი ძალა მოიკრიბოს!

სასიქადულოდ ჩვენი ჯარისა უნდა ითქვას, რომ ამ ჯოჯოხეთურ პირობებში თუმცა ბევრი დაიღუპა, აგრამ არც ერთს ზურგი მტრისთვის არ უჩვენებია! (მხურვ. ტაში).

ეს უტყუარი საბუთი არის, რომ ჩვენი რეგულიარული ჯარი, ჩვენი სახალხო გვარდია, ჩვენი მუშები, გაემგზავრნენ ერთად დღეს, ჩვენი საზღვრების და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ისინი შესძლებენ თავის მოვალეობა შეასრულონ პირნათლად თავის სამშობლოსა და თავის დემოკრატიის წინაშე!

ეს თქვენი ხმა, ეს თქვენი გამოძახილი, რომელიც მას მისწვდება, ისეთი გამოძახილი, რომელიც მთელს საქართველოს მოეფინება, ეს არის უმთავრესი გამამხნევებელი ძალა. ეს არის ზნეობრივი ძალა, რომელიც ერთად ამ ფიზიკურ ძალასთან, რომელიც ფრონტისკენ მიემგზავრება, შესძლებს ფიზიკურ და ზნეობრივ ძალასთან ერთად შედუღებული—დაიცვას ჩვენი თავისუფლება, და დამოუკიდებლობა! („გაუმარჯოს საქართველოს!“ მხურვალე ტაში. საბჭო ფეხზე ადგომით აცილებს სამხედრო მინისტრს).

მუსულმანების წარმომადგენელ ახვერდოვის სიტყვა.

მოქალაქენო! პარლამენტის წევრნო! ამ ისტორიულ მომენტში მე გამოვდივარ საქართველოს რესპუბლიკის მუსულმან მოქალაქეთა სახელით. დასრულდა დიდი ევროპიული ომი. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ წუთიდან დაიწყებოდა კეთილი ურთიერთ ცხოვრება ხალხისა, და განსაკუთრებით იმ ხალხისა, რომელიც ამიერ-კავკასიაში სცხოვრობს. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. მეზობელმა რესპუბლიკამ ომი გამოგვიცხადა. სჩანდა კი, რომ ეხლა არავითარი საბაბი ამ ომისათვის არ იყო. შეიძლებოდა ყველა ის საკითხი, რომელიც არსებობს ქართველებსა და სომხებს შორის, გადაწყვეტილიყო მშვიდობიანი კონფერენციის გზით. ჩვენი მთავრობა კიდეც იძიებდა ყოველ ზომას, რომ ამგვარათ სადავო საკითხები მოგვარებულიყო, რაც სჩანს დღეს დაბეჭდილ დეპეშებიდან. მაგრამ ერთი სომხური პარტია წმინდა ეგოისტურ მიზნების გამო შეეცადა გამოეწვია ეს ცეცხლი. მე უნდა ვსთქვა, რომ დარწმუნებული ვიყავი: 1905 წლის ცეცხლი მესამე პირის ხელმა გამოიწვია, მაგრამ დღეს ცოტათი ეჭვი მეპარება (გაბაშვილი: ჩვენ არც მაშინ ვეჭვობდით). ჩვენ, როდესაც პარლამენტში შემოვედით ჩვენს დეკლარაციაში ჩვენ განვაცხადეთ, რომ საქართველოს მუსულმანები ყოველგვარ შესაძლებელი ზომებით დაიცავენ თავის სამშობლოს ყველასაგან ვინც არ უნდა იყოს მისი მტერი და დღეს ამასვე ვაცხადებთ, ზეიმით ვიმეორებთ, როცა საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა (ტაშის ცემა).

მე-18 საუკუნის ბოლოს, როცა მრისხანე აღა-მაჰმადხანის ჯარები ციხე შუშას შემოერტყენ, ყარაბახის ხანის იბრაგემის გამოსახსნელათ გაილაშქრა საქართველოს ჯარმა მეფისშვილ ალექსანდრე ირაკლეს-ძის მეთაურობით (ვეშაპელი: თქვენ კარგი მახსოვრობა გქონიათ!) და როდესაც ამის შემდეგ სპარსეთის შახი ქართველებზე გაჯავრდა და თავისი ჯარები მასზე გამოალაშქრა, მაშინ ჩვენ მუსულმანები, ბორჩალოს მაზრის მუსულმანები, საქართველოს ჯარის რიგში ჩასდგნენ და თავის ერთმორწმუნეების წინააღმდეგ წავიდნენ (ეაჩნაძე: ვაშა ბორჩალოს!) და ეს გარემოება დღევანდლამდე სცოცხლობს ბორჩალოს მაზრის მუსულმანთა მეხსიერებაში. ეხლა მუსულმანთა რაზმი უკვე შემდგარია და ისინი გამოდიან საქართველოს რესპუბლიკის მტერთა წინააღმდეგ. (ტაშის ცემა) მათ ომი გამოუცხადეს არა საქართველოს, არამედ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას. და მან, ვისთვისაც ძვირფასია ეს დამოუკიდებლობა, უნდა დაიცვას იგი ყოველი საშუალებით. მუსულმანებს ეს ესმით და ისინი სიხარულით მიდიან მათ წინააღმდეგ, ვინც ლამობს ფეხქვეშ გათელოს საქართველოს თავისუფლება და თავისუფლება ამიერკავკასიის (ხმა: მართალია!). ბორჩალელ მუსულმანებს, მე მწამს, თან გაჰყვებიან საქართველოს რესპუბლიკის სხვა ნაწილების მუსულმანებიც: სიღნაღის, თელავის, ახალციხის და სხვა მაზრების მუსულმანები და ისინი ყოველი ზომით მხარს დაუჭერენ თავის სამშობლოს. და კიდევ ვაცხადებ, თუ რა დიდი სიამოვნებაა ჩემთვის განვაცხადო, ისე როგორც პარლამენტში შემოსვლის დროს:—გაუმარჯოს საქართველოს (ტაში).

ქართველ ისრაელთა წარმომადგენლის მ. დავარაშვილის სიტყვა.

ბატონებო! ასეთ ისტორიულ მომენტში ვერც ქართველი ისრაელები გავჩუმდებით. ჩვენი სიტვვა ის არის, რაც სთქვა ქართველ ერის და საერთოთ დემოკრატიის წარმომადგენელმა ნოე ჟორდანიამ, რომ ჩვენი ძალღონე, ფიზიკური და მორალური, მატერიალური რესურსები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისთვის უნდა დაიწვას. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას (ტაში).

ფრაქციათა წარმომადგენელნი.

ილაპარაკეს დ. ნ. დ. ბ. გრ. ვეშაპელმა, ნ. დ ბ. გ. გვაზავამ, ს. ფ.-დან ბ. გ. რცხილაძემ, ს.-დან ბ. ა. ლომთათიძემ. სოც.-რევ.-დან ბ. **იოს. გობეჩია** აღნიშნავს, რომ დაშნაკელთა სომხის ხალხისათვის დამღუპველ პოლიტიკაზე თვით სომხის ჭეშმარიტი სოციალისტები დიდიხანია უთითებდენ ყველასო. მას მოყავს განსვენებულ ამხ. ლ. ათაბეგიანის სიტყვები, რომელიც ამბობდა, რომ სომხის ხალხს დაღუპავს დაშნაკელთა პოლიტიკაო.

საქართველოს პარლამენტის რეზოლიუცია.

„მოისმინა რა მთავრობის მოხსენება შესახებ სამხედრო მოქმედებისა საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებს შორის, პარლამენტი აღიარებს:

1. რომ საქართველოს მთავრობას არავითარი საბაბი მტრული განწყობილებისა არ მიუცია სომხეთის მთავრობისათვის. რომ მან მიიღო ყოველივე ზომა ორ მოძმე სახელმწიფოთა შორის საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის.

2. რომ სომხეთის მთავრობის ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში, მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს ჯარის სადარაჯოებს, მრავალი ჯარის კაცი დახოცა, მრავალი ტყვეთ წაიყვანა.

პარლამენტი იწონებს მთავრობის ყველა მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს მტერთა ასალაგმავად, აღუთქვამს მთავრობას ყოველს დახმარებას რესპუბლიკის დასაცველად და აცხადებს, რომ რესპუბლიკის ძალები მიმართულია არა სომეხ ხალხის წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ სომხეთის მთავრობისა იმ წრეებისა, რომელთა პოლიტიკას მიზნად აქვს ხიდი ჩატეხოს საუკუნოებით მეგობრულ ერთა შორის და როგორც ქართველს, ისე სომეხ ხალხს განადგურებას უქადის“.

რეზოლიუცია პარლამენტმა მიიღო ერთხმათ.

საზღვარ-გარეთ

(საქ. დ. სააგ.)

ინგლისური პრესა, 17 დეკემბ. პორტუგალიის, პრეზიდენტი მაიორი სიდონმა-პასი მოკლეს 14 დეკემბერს შუადამისას, როცა ის რკინის გზის სადგურზე მიდიოდა ოპორტოში გასამგზავრებლათ, პასს მოხვდა რევოლვერის სამი ტყვია. გაბრაზებულმა ბრბომ იქვე მოკლა მკვლელი.

ბელგიის მთავრობამ აუწყა ჰოლანდიას, რომ სამხედრო მასალას და სურსათს ინგლისიდან ბელგიაში ჩასატანათ შელდაზე გამოატარებენ.

„დეილი-ექსპრესის“ ცნობით, ომის გათავების გამო სამხედრო კაბინეტიდან გავიდა სმიტი. სმიტს შესთავაზეს პალესტინაში ალენბამდე ჯარის სარდლობა, მაგრამ მან უარი განაცხადა.

ბრიტანიის ჯარმა გადაიარა რეინი. ცხენოსანმა ჯარმა მიაღწია საოკუპაციო საზღვარს.

16 დეკემბერს გაიხსნა გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობა. აღსანიშნავია მისი თანაგრძნობა ებერტის და შეიდემანის ჯგუფისადმი და დამფუძნებელ კრების მოწვევის სურვილი.

ფრანგული პრესა, 17 დეკემბერი. საფრანგეთის სენატს საზეიმო სხდომა ქონდა ელზას-ლორენის საფრანგეთთან შემოერთების გამო. 17 დეკემბერს სხდომის გახს ისას თავმჯდომარემ მოაგონა სხდომას, თუ რა სიხარულით შეეგებენ მცხოვრებნი პრეზიდენტს — სტრასბურგში. თავმჯდომარემ სთქვა: არაჩვეულებრივი და გასაკვირალი სანახაობა იყო. მცხოვრებთ აღტაცებული შეხვედრა ყველასთვის და განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ეგონა, რომ სანტიმეტალური მოგონება წარსულისა თანდათან დასუსტდებოდა. დიახ, ნათესაობის გძნობა შეუმჩნევლათ სისხლთან ერთად გადადიოდა შთამომავლობიდან შთამომავლობაზე და ჩვენს აღფრთოვანებულ თვალებს სილამაზეთ და სიმბოლოთ მოევლინენ ქალები, ელზას-ლორენის მომავალი დედები, რომლებმაც საფრანგეთის ძველი ჯარისკაცებივით ჩვენ წინ მწყობრათ ჩაიარეს. დიახ, პირველი წამები მაჩვენებელია ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებისა, მაგრამ ქუჩამ და ბრბომ ჩვენ დაგვანახვა რაღაც უფრო მაღალი, რაც გამარჯვებით არ მოიპოვება, არ შეისყიდება და ვერ მოეწყობა.

„ტაიმსი“ იუწყება, რომ საზავო კონფერენცია გაიხსნება იანვრის პირველ ნახევარში. კონფერენციის გახსნის დღე ჯერ არ არის გამორკვეული.

გერმანული პრესა, 17 დეკემბერი. ჰოლანდიური გაზეთი ,,ფატერდანდი'' იუწყება, რომ ე—ლაში და შაპელში ბელგიელებმა უწესოება მოახდინეს.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახელმწიფო კონფერენციამ განიხილა სახალხო კომისარის მოხსენება, რომელმაც სასტიკათ გააკრიტიკა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება. მომხსენებელმა სახალხო კომისარმა აღნიშნა, რომ მთავრობა ეყრდნობა მთელი სახელმწიფოს ხალხის ფართე წრეების ნდობაზე ისე როგორც გერმანიის არც ერთი წინანდელი მთავრობა და მთელი ქვეყნის არც ერთი მთავრობა. აღმასრულებელ საბჭოსთან მოქმედების შეთანხმება ყოველთვის შესაძლებელი არ იყო. ბერლინის აღმასრულებელი საბჭო ახლა უქმდება. სოლფის თხოვნა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ მიღებულ იქნა. მაგრამ სოლფის აღმასრულებელ საჭოს თხოვნით დარჩება თავის თანამდებობაზე ვიდრე მის მოადგილეს ვერ ვიშოვით. მომხსენებელი გადავიდა საერთო მდგომარეობის განხილვაზე და განაცხადა, რომ თუ სახალხო მეურნეობის აღდგენა გვსურს, უნდა ვიზრუნოთ, რომ წარმოება არ შეირყეს.

სოციალიზაციის ცხოვრებაში გატარების დროს ვერ განხორციელდება ყველა სურვილი. მხოლოდ მაშინ შეიძლება სოციალიზაციის ცხოვრებაში გატარება როცა მეურნეობა ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება, ხალხის ბედი ახლა კი ისეთია რომ მას სჭირია მუშაობა და გაჭირვების ატანა. პოლიტიკურათ განთავისუფლება არ ნიშნავს სოციალურ პრობლემების გადაწყვეტას. მშრომელმა კლასმა საქმის ნამდვილი ვითარება უნდა შეიგნოს. არავითარ ძალას არ შეუძლია შეცვალოს დარღვეული ჭეშმარიტება და შეუბრალებელი სინამდვილე. კამათმა ნათლათ დაგვანახა, რომ დიდი უმრავლესობა სახალხო რწმუნებულთა მხარეზეა. პროვინციიდან ჩამოსული ორატორები ბერლინის აღმასრულებელ საბჭოს ყოფაქცევას სასტიკათ აკრიტიკებდენ. ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის კონფერენციაზე დაშვების შესახებ შემოტანილ წინადადებას კენჭი უყარეს, წინადადება უარყოფილ იქნა 440 ხმით, მომხრე იყო 60.

რეიხსტაგის პრეზიდენტმა ფეირენბახმა რეიხსტაგის დეპუტატებს აუწყა, რომ დროებითი ზავის გაგრძელების და ზავის წინასწარ მოლაპარაკების გადადების გამო აუცილებელს საჭიროებას არ წარმოადგენს რეიხსტაგის მოწვევა.

პრუსიის სამინისტროს თავმჯდომარეს გირმს ბრანდენბურგის კომუნალური კავშირები შეეკითხა, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს თავის თავზე მიიღოს სამხედრო სესხების მოვალეობა. გირმმა ასეთი პასუხი მისცა: კავშირების ცნობები სამხედრო სესხების გაუქმების შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. მთავრობის ხელმძღვანელ წრეებში არავინ ფიქრობს სამხედრო სესხებზე საქმეში რაიმე ცვლილების შეტანას და მაშასადამე სამხედრო სესხებს ძალა არ დაუკარგავს.

15 დეკემბერს დროებითი ზავის ინტერნაციონალურ კომისიის სხდომაზე გერმანელების მიერ აღძრული იყო საკითხი განეხილათ ხელმეორეთ, თუ რა საბუთით წაიყვანეს ტყვეთ გერმანელი ჯარისკაცები იმ ადგილებიდან, რომელიც დასცალა გერმანიის ჯარმა დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ. კომისია მოითხოვს შეცდომით დატყვევებულ ჯარისკაცთა განთავისუფლებას.

სხვა და სხვა ამბები.

პურიშკევიჩის დღიური.

ოდესიდან ბაქოში ჩამოსულ პირს შემდეგი დაწვრილებითი ცნობები გადაუცია წიგნის „ვ. მ. პურიშკევიჩის დღიურის“ შესახებ.

ეს წიგნი დიდ ღირებულების დოკუმენტს წარმოადგენს და აშუქებს არა მარტო რასპუტინის ისტორიის ლიკვიდაციას, არამედ რევოლიუციის წინამორბედ დღეების ისტორიასაც. როგორც ირკვევა, რასპუტინის მკვლელობაში ახლო მონაწილეობა მიუღია ვ. ა. მაკლაკოვსაც.

დღიურში დიდი ალაგი უკავიათ დიდ მთავრებს და მათ დამოკიდებულებას მეფისადმი. განსაკუთრებით უარყოფით ახასიათებს პურიშკევიჩი ბორის და კირილე ვლადიმერისძეთ, რომელნიც „არ კარგავდენ იმედს, რომ როდესმე ტახტი მათ ხელში გადავიდოდაო“. ბორის ვლადიმერის ძეს კიდევაც მიუმართავს შჩეგლოვიტოვისათვის, აქვთ თუ არა მათ, ვლადიმერის ძეთ, უფლება ტახტზე, და თუ არა, რატომ“?

შჩეგლოვიტოვს უარყოფითად უპასუხნია, რადგანაც მათი დედა, მარიამ პავლეს ასული, გათხოვების შემდეგაც ლიუტერანკათ დარჩაო. რამოდენიმე ხნის შემდეგ ბორისს წარუდგენია შჩეგლოვიტოვისთვის დოკუმენტი მარიამ პავლეს ასულის მიერ მართლმადიდებლობის მიღების შესახებ.

იმავე წლის ნოემბრის ბოლოში კირილე, გუჩკოვი და როძიანკო რაღაცას აწყობდენ ნიკოლოზის წინააღმდეგ, მაგრამ „დღიურის“ ავტორს ვერ მოუხერხებია იმის გაგება, თუ რაში იყო საქმე.

პურიშკევიჩი ყვება აგრეთვე თავის ვიზიტის შესახებ დიდ მთავარ ნიკოლოზ მიხეილის ძესთან, რომელთანაც შეხვდა... ბურცევს! ნიკოლოზ მიხეილის ძეს სურდა თავისა და თავის ხასიათის შემოწმება, თუნდაც სხვა შეხედულებისა და მიმართულების პირების ხასიათის მიხედვით.

დღიურის სხვა ფურცლებიდან საინტერესოა მითითება იმაზე, რომ შტიურმერი აპირებდა თურმე მსოფლიო კონგრესზე რუსეთის წარმომადგენლობის ორგანიზაციას, როგორც ირკვევა, შტიურმერს აზრად ქონია ამ საქმეში პროფ. ილოვაისკის ჩართვა, რომლისთვისაც წინასწარ წინადადებაც მიუცია „დასავლეთზე ჩვენი ტერიტორიალურ ანექსიების“ სქემა შეემუშავებია. („ზნ. ტრ.“).

ძეგვის ხიდის საქმე.

შაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს, თბილისის საგანგებო სასამართლოში დანიშნულია ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის განხილვა. ამ საქმეში ბრალდებულნი არიან სამხედრო ინჟ. პოლკოვ. გ. დ. შმაგაილოვი, მიხეილი, (იგივე სარქისა), სტ. კუჩმიანცი და ა. ა. კიურიუნლიანცი. საბრალმდებლო ოქმით გამოწვეულია 17 მოწამე, ხოლო ბრალდებულთა მხრით 10 მოწამე. თუ ბრალდებულნი დამნაშავენი აღმოჩნდენენ, მათ სიკვდილით დასჯიან. ბრალდებულთა დამცველებათ გამოდიან ნაფიცი ვექილები კ. ზელენსკი და ა. ბაბოვიანი. საქმის გარჩევა ორ დღეს გასტანს. მსურველთ მხოლოდ ბილეთებით შეუძლიანთ დასწრება.

ბაქოში

12 და 13 დეკემბერს ბაქოში მოკავშირეთა ჯარები მოვიდა ზღვით ენზელიდან და კრასნოვოდსკიდან.

9 დეკემბერს სამხედრო საველე სასამართლომ გაარჩია შემდეგ პირთა საქმე, რომელთაც ბრალდებოდა —1) გრიგოროვს—შეიარაღებული თავდასხმა გაძარცვა. მიესაჯა ერთი წლით გამასწორებელი რაზმი.

2) მარტიროსოვს—იმავე დანაშაულობისთვის ექვსი თვით გამასწორებელი რაზმი

3) ეგიაზაროვს შეიარაღებული გაძარცვისთვის—ჩამოხრჩობა.

4) ავაკოვს იმავე დანაშაულობისათვის—ჩამოხრჩობა.

5) ვარლამოვს ქუჩაში სროლისა და ორი კაცის დაჭრისთვის—დახვრეტა.

სიკვდილით დასასჯელთა შესახებ განაჩენი 13 დეკემბერს შუადღისას სისრულეში იქნა მოყვანილი ბაილოვის ციხეში.

სიკვდილით დასჯის შესახებ დემოკრატიულ თათბირზე თავმჯდომარე ევანგულოვმა შემდეგი განაცხადა: როგორც კი გავიგეთ პარაპეტზე ხალხის თანადასწრებით სიკვდილით დასასჯელ ალაგს ამზადებენო, დაუყოვნებლივ გავეშურეთ კავშირთა საბჭოში, მოვიწვიეთ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და გავემგზავრეთ მოკავშირე სახელმწიფოთა პოლიციის კომისარ პოლკოვნიკ კოკერელლთან, რომელსაც განვუცხადეთ, რომ შეკავშირებული დემოკრატია არ დაუშვებს სიკვდილით დასჯას, განსაკუთრებით ხალხის თანადასწრებითო. პოლკოვნიკ კოკერელი დაეთანხმა დელეგაციას და განაცხადა, რომ მან უკვე მოახდინა განკარგულება პარაპეტიდან სახრჩობელების ალაგებისა და ა. გვითქვა, რომ ამის შემდეგ ხალხი დასწრებით სიკვდილით დასჯა არ მოხდებაო.

ილაპარაკეს ს.-რევ. სააკიანმა, დაშნაკელმა ჩუბარიანმა და სხ. მან წინადადება მისცეს თათბირს პროტესტი განეცხადებიათ მოკავშირეთა წარმომადგენლებისათვის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. კენჭის ყრით გადაწყდა არავითარი პროტესტი არ გამოიტანოს თათბირმა იმ საკითხის შესახებ. („ერთ“)

მატარებლების მიმოსვლა.

საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზებზე 20 ნოემბრიდან მატარებლები შემდეგი წესით ივლიან:

მატარებელი № 1—გადის თფილისიდან—17 ს. და 42 წ., ხაშურიდან—22 ს. და 22 წ., რიონიდან—3 ს. და 09 წ., ჩადის ფოთში—6 ს. და 33 წ.,

„ № 3 გადის თბილისიდან 10 ს. და 25 წ., „ ხაშურიდან 18 ს. და 04 წ., „ რიონიდან—23 ს. და 21 წ., გადის ფოთში—4 ს. და 36 წ.,

„ № 5 გადის თბილისიდან—22 ს. და 30 წ., „ ხაშურიდან—4 ს. და 02 წ., „ რიონიდან—9 ს. და 18 წ., ჩადის ფოთში—13 ს. და 08 წ.,

გამოდის:

მატარებელი № 2 ფოთიდან—20 ს. და 49 წ., 0 ს. და 14 წ., რიონიდან—ან—5 ს. და 01 წ., ხაშურიდიოდის 8 ს. და 57 წ., თბილისშოთიდან 22 ს. და 34 წ.,

№ 4 იონიდან—4 ს. და 30 წ., რურიდან—12 ს. და 15 წ., ხაშისში მოდის 18 ს. და 25 წ., თბილფოთიდან—16 ს. და 11 წ.,

№ 6 ხაშურიდან—2 ს. და 33 წ., თბილისში მოდის 7 ს. და 20 წ.

მატარებლები №№ 1 და 2, სწრაფ-ა, თბილისსა და ფოთს შუა, ყველაფია ვაგონების საჯდომი ალაგები დანომრილია. პლაცკარტი ღირს სამგზავრო ბილეთის ფასის გარდა, 2 მან. ყველა ვაგონებში.

მატარებლები №№ 5 და 6—სამგზავროა თბილისსა და ფოთს შუა, ყველა ვაგონებში საჯდომი ალაგები დანომრილია, პლაცკარტი ღირს გარდა სამგზავრო ბილეთის ფასისა 10 მან. ყველა კლასებში.

მატარებლები № 3 და 4—საფოსტოა თბილისსა და ფოთს შუა პლაცკარტოა.

სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—ცენტრალური კომიტეტ